ოლიმპიადა მშობლიურ ენაში

I ტური – მე-9 კლასი (შემოდგომა, 2025)

I სავარჯიშო: მორფოლოგია. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

1. **რომელი სიტყვაა მოქმედებით ბრუნვაში?**
   ა) ტყისაკენ ბ) ტყეს გ) ტყით
2. **რომელია კვეცადი სახელი?**
   ა) თეფში ბ) მზე გ) კარი
3. **რომელია კუმშვადი სახელი?**
   ა) მეგობარი ბ) მთვარე გ) კარი
4. **რომელი ზმნა გამოხატავს წარსულ დროს?**
   ა) მიდის ბ) მივიდა გ) წავა
5. **რამდენი გრამატიკული დრო აქვს ზმნას ქართულში?**
   ა) ოთხი ბ) სამი გ) ხუთი

სავარჯიშო ალტასგან. გისურვებთ წარმატებას!

II სავარჯიშო: სინტაქსი – წინადადების ტიპები და წევრები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

6. **წინადადება შეიძლება იყოს:**
   ა) მარტივი ბ) სადაურობის გ) უბრუნველი
7. **რომელ წინადადებაშია ერთგვარი წევრები?**
   ა) დედა და მამა ბაზარში წავიდნენ.
   ბ) ბაღში ყვავილები ხარობენ.
   გ) ბიჭმა კალათბურთი ითამაშა.
8. **რომელ წინადადებაშია ხაზგასმული სიტყვა შემასმენელი?**
   ა) ფოთლები <u>ხმებიან</u>.
   ბ) <u>ბავშვი</u> თამაშობს.
   გ) <u>მხატვარმა</u> ანის კატა დახატა.
9. **რომელია ერთსიტყვიანი წინადადება?**
   ა) თოვს.
   ბ) გუშინ თბილისშიც თოვდა.
   გ) ციდან თოვლის ფანტელები უხვად ცვიოდა.
10. **რომელი სიტყვა <u>არ არის</u> წინადადების წევრი?**
    ა) მასწავლებელი ბ) წიგნი გ) ხოლო

III სავარჯიშო: მართლწერა. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

11. **რომელი ფორმაა სწორი?**
    ა) ჭკვიანურად ბ) ჭკვანურად გ) ჭკვიარულად
12. **აირჩიე სწორად დაწერილი რთული სიტყვა:**
    ა) ნელ-ნელა ბ) სახლკარი გ) თავ გადასავალი
13. **რომელი კომპოზიტია შეცდომით დაწერილი?**
    ა) მამა-შვილი ბ) აქეთ-იქით გ) კარფანჯარა
14. **რომელი ფორმაა სწორად დაწერილი?**
    ა) ოთხმოცდაექვსი ბ) ოთხმოც და ექვსი გ) ასოთხმოც დაცხრა

15. რომელ შემთხვევაშია დეფისი სწორად დასმული?

ა) დილით-წავიდა ბ) მწვანე-ფოთოლი გ) ცოტ-ცოტა

IV სავარჯიშო: ლექსიკა. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

16. რომელი სიტყვა გამოხატავს სიხარულს?

ა) აღფრთოვანება ბ) განცვიფრება გ) გაქცევა

17. რომელი სიტყვა ნიშნავს სიფრთხილეს?

ა) წინდახედულება ბ) განსჯა გ) გაბედულება

18. სიტყვა „საწყისი“ ნიშნავს:

ა) შუაში არსებულს ბ) ბოლოს გ) დასაწყისს

19. „შთაბეჭდილება“ არის:

ა) განცდა, რომელიც ადამიანს რჩება
ბ) სხვისი აზრის მოსმენა
გ) საყვედური

20. რომელი სიტყვაა სიტყვა „სწრაფის“ სინონიმი?

ა) მქრალი ბ) მარდი გ) რბილი

V სავარჯიშო: ფრაზეოლოგია. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

21. ფრაზეოლოგიზმი „გულში გაივლო“ ნიშნავს:

ა) ტკივილი იგრძნო ბ) ხელით მოსინჯა გ) გუნებაში გაიფიქრა

22. რას ნიშნავს „გული მოიგო“?

ა) შეეშინდა ბ) სითბო მოაკლდა გ) თავი მოაწონა

23. ფრაზეოლოგიზმი „ხელს ჰკრავს“ ნიშნავს:

ა) იცის საქმე ბ) თავიდან იშორებს გ) ხელდასვრილი არ არის

24. „გოგონა გულდასმით ასრულებდა დავალებას.“ რას ნიშნავს სიტყვა „გულდასმით“?

ა) სწრაფად ბ) დაუდევრად გ) ყურადღებით

25. რა მნიშვნელობა აქვს ხაზგასმულ ფრაზეოლოგიზმს: „ნინომ ეს ამბავი <u>სასწორზე შეაგდო</u> და პასუხის გაცემა გაუჭირდა.“?

ა) გაათანაბრა
ბ) აწონ-დაწონა, ყოყმანობდა
გ) გაუხარდა

VI სავარჯიშო: ტექსტის გააზრება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

ქალაქი მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში. ეს ტერიტორია ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან იყო დასახლებული, რასაც სამთავროს, წიწამურის, ნარეკვავისა და სხვა არქეოლოგიური ნასახლარები ადასტურებს. ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან მცხეთის რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ისტორიული მოვლენების ეპიცენტრი გახდა.

ლეგენდის მიხედვით, ქალაქი მცხეთოსმა დააარსა. ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოდან მცხეთა ქართლის (იბერიის) სამეფოს დედაქალაქად იქცა. IV საუკუნის დასაწყისში იერუსალიმიდან მოსულმა წმინდა ნინომ აქ ქრისტიანობის ქადაგება დაიწყო. 326 წელს მეფე მირიან III-მ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. გადმოცემით, წმინდა ნინოს ლოცვით ამოვარდნილმა ძლიერმა ქარიშხალმა არმაზის კერპი დაამსხვრია.

VI საუკუნეში მეფე დაჩი უჯარმელმა ქვეყნის დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა. მიუხედავად პოლიტიკური სტატუსის დაკარგვისა, მცხეთამ რელიგიური ცენტრის როლი შეინარჩუნა. აქ საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა საკულტო ნაგებობები, მათ შორის – ჯვრის მონასტერი, სამთავრო და სვეტიცხოველი.

მცხეთას მძიმე პერიოდებიც ჰქონია: 736–738 წლებში მურვან ყრუმ ქალაქი დაარბია და არმაზციხე გაანადგურა, XV საუკუნის დასაწყისში კი თემურ-ლენგმა გააპარტახა. მოგვიანებით მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო შემცირდა და რუსეთთან შეერთების შემდეგ მცხეთა სოფლის სტატუსით განაგრძობდა არსებობას. მხოლოდ 1930–1934 წლებში გახდა ის ცალკე რაიონი.

დღეს მცხეთა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის სტატუსს ატარებს. აქ გადის ამიერკავკასიის სარკინიგზო ხაზი და მდებარეობს ზაჰესი – რეგიონის პირველი ჰიდროელექტროსადგური. მუნიციპალიტეტში განვითარებულია სოფლის მეურნეობა – განსაკუთრებით მევენახეობა, მეხილეობა და მეცხოველეობა. მცხეთაში ფუნქციონირებს ერთი თეატრი, 4 მუზეუმი და 41 ბიბლიოთეკა. ქალაქი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, რომლებიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი. ბუნებრივი სილამაზე და კულტურული მრავალფეროვნება დღემდე უამრავ ტურისტს იზიდავს.

26. სად მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტი?

ა) ესპანეთში
ბ) მცხეთა-მთიანეთის მხარეში
გ) იმერეთის მხარეში

27. რომელ ეპოქაში დაიწყო მცხეთის ტერიტორიაზე ხალხმა ცხოვრება?

ა) რკინის ხანაში ბ) ბრინჯაოს ხანაში გ) შუა საუკუნეებში

28. ვინ დააარსა ქალაქი მცხეთა ლეგენდის მიხედვით?

ა) ილია ჭავჭავაძემ ბ) მცხეთოსმა გ) დაჩი უჯარმელმა

29. რომელ საუკუნეში გამოაცხადა მეფე მირიან III-მ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად?

ა) III საუკუნეში ბ) IV საუკუნეში გ) V საუკუნეში

30. რა დაემართა არმაზის კერპს წმინდა ნინოს ლოცვის შემდეგ გადმოცემის თანახმად?

ა) ცეცხლმა დაწვა
ბ) ქარიშხალმა დაამსხვრია
გ) ხალხმა დაანგრია

31. რატომ დაკარგა მცხეთამ პოლიტიკური მნიშვნელობა VI საუკუნეში?

ა) წყალდიდობის გამო
ბ) ქართლის დაქუცმაცების გამო
გ) დაჩიმ დედაქალაქი თბილისში გადაიტანა

32. რომელი საკულტო ნაგებობებია მცხეთაში?

ა) სამთავრო, ბოლნისის სიონი და ბეთანია
ბ) სამთავრო, ჯვრის მონასტერი და სვეტიცხოველი
გ) ჯვრის მონასტერი, ალავერდი და გრემი

33. რომელმა დამპყრობელმა დაარბია მცხეთა 736–738 წლებში?

ა) თემურ-ლენგმა ბ) ნადირ-შაჰმა გ) მურვან ყრუმ

34. რომელ წლებში მიიღო მცხეთამ ცალკე რაიონის სტატუსი?

ა) 1918–1920 წლებში ბ) 1930–1934 წლებში გ) 1945–1949 წლებში

35. რითი გამოირჩევა მცხეთა დღეს?

ა) მხოლოდ სარწყავი მდინარეებით
ბ) ისტორიული ძეგლებითა და ბუნებრივი სილამაზით
გ) სამრეწველო ცენტრებით

100-ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 5-ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.

36. რომელი სიტყვა უკავშირდება „კვებასა“ და „ჯანმრთელობას“ დადებით კონტექსტში?

ა) დაბალანსებული ბ) შაქრიანი გ) გამოფიტული

37. „სანტეს“ საწარმოში შენ სხვადასხვა საამქროს შეხვდები. ყველა ეს საამქრო ..... ქმნის გემრიელ და ჯანსაღ პროდუქტს.

ა) ამრიგად ბ) ვითარცა გ) ერთად

38. „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი მთავარი გმირია:

ა) ტარიელი ბ) ალექსანდრე გ) ნიკოლოზი

39. რას ნიშნავს ანდაზა: „კარგ ბედაურს გზა გამოაჩენსო“?

ა) სწრაფად გაკეთებული საქმე ყოველთვის გამოგდის
ბ) საგანი თუ ადამიანი საქმეში გამოიცდება
გ) სახლში არ უნდა დაიგვიანო

40. რომელი ფრაზაა ანდაზის „ხელი გაანძრიე და გეშველებაო“ შესაბამისი?

ა) სირთულის დროს ადამიანმა თავად უნდა იმოქმედოს
ბ) ბევრი ადამიანი შრომობს
გ) სხვისი იმედით ყოფნა ჯობს